ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო
საქმეთა სააპელაციო პალატას

აპელანტი: საქართველოს პარლამენტი
(მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8)

წარმომადგენელი: ბათარ ჩანქსელიანი
(მცხ. ქ. თბილისი, მაყაშვილის 32)

მოპასუხე: ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"
(მისამრთი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ.62

ს ა ა პ ე ლ ა ც ი ო ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს
01.04.2004 წლის გადაწყვეტილებაზე)

მოგახსენებთ, რომ კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ (მოსამართლე-თ.ყაჭეიშვილი) განხილულ იქნა (ადმინისტრაციული საქმე №3/545-04წ.) მოსარჩელე – ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სასარჩელო განცხადება, რომლითაც მოითხოვდა საქათველოს პარლამენტის მიერ დაუყოვნებლივ განხორციელებულიყო „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება დანართებთან ერთად.

სასამართლომ თავისი 2004 წლის პირველი აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა, დაევალა საქართველოს პარლამენტს „უზრუნველყოს მის მიერ 2000 წლის 31 მაისს № 341-IIს დადგენილებით რატიფიცირებული „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნება დანართებთან ერთად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებით შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მოგახსენებთ, რომ 2000 წლის 31 მაისს № 341-IIს დადგენილებით რატიფიცირებული იქნა ზემოთხსენებული ხელშეკრულება დანართებთან ერთად. პარლამენტის დადგენილება ხელშეკრულების რატიფიცირების თაობაზე როგორც წესი, გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" (2000 წლის 07 ივნისი, №51 მუხლი 481), რომელიც წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამომცემლო ორგანოს. ამასთანავე, თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება აგრეთვე (გარდა „საკანონმდებლო მაცნეში" გამოქვეყნებისა) „საქართველოს პარლამენტის უწყებებში" (და არა „პარლამენტის უწყებანი") სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება. გამომდინარე აქედან, უნდა გავარკვიოთ, რა სახის ნორმატიული აქტების მიღება ხდება საქართველოს პარლამენტის მიერ. თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა, ასეთ ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება: საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, პარლამენტის დადგენილება (17.02.2004 №3350), ხოლო რაც შეეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, ის არ არის ზემოხსენებულ ჩამონათვალში, ანუ არ წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ცალსახად მიუთითებს, რომ საქართველოს პარლამენტი (კი არ იღებს) ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციას – (საქართველოს მიერ მისთვის საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე თანხმობის გამოხატვა), დენონსირებას (ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტა) და გაუქმებას, რაც კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება არ განეკუთვნება იმ ნორმატიულ აქტებს, რომელთა მიღებაც შედის საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების სფეროში.

ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტება იმის თაობაზე, რომ „პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულება არ წარმოადგენს რა პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს, არ შეიძლება გამოქვეყნდეს მის მიერ „საქართველოს პარლამენტის უწყებანში".

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, „საქართველოს ნორმატიული აქტის (მათ შორის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა,

რომელიც თანახმად ამავე კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა, გახლავთ ნორმატიული აქტი) ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის პირველი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში". ამავე პუნქტის მეორე წინადადება ყურადღებას ამახვილებს პარლამენტის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, რომელთაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, განეკუთვნება: „საქართველოს პარლამენტის დადგენილება, ამდენად, თუკი მოვიშველიებთ კვლავ „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის მეორე წინადადებას, განსაზღვრულია რომ პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების ოფიციალურ გამოქვეყნებად გარდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში გამოქვეყნებისა, ითვლება ასევე მათი გამოქვეყნება „საქართველოს პარლამენტის უწყებანი"-ში.

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საქართველოს პარლამენტი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირების, გაუქმებისა და დენონსირების შესახებ გადაწყვეტილებსდ იღებს პარლამენტის დადგენილების ფორმით".

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მოსარჩელე მხარე თავისი სარჩელით მოითხოვდა ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულების ტექსტის ოფიციალურად გამოქვეყნებას დანართებთან ერთად, რაც, თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა უნდა მომხდარიყო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში", ხოლო რაც შეეხება პარლამენტის დადგენილებას, რაზედაც მხარეს პრეტენზია არ გააჩნია) ის უკვე ოფიციალურად გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" (2000 წლის 07 ივნისი № 51, მუხლი 481). ამასთან, თანახმად აღნიშნული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, (რომელიც ადგენს საქართველოს ნორმატიული აქტების გამოქვეყნების წესს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში), ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებამდე არ შეიძლება მისი გამოქვეყნება სხვა რომელიმე ბეჭდვით ორგანოში. გამომდინარე ზემოთქმულიდან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება გახლავთ ნორმატიული აქტი და მისი ოფიციალური გამოქვეყნება (თანახმად „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტისა) სრული ტექსტის სახით უნდა მომხდარიყო „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ში.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნება, (თანახმად „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტისა)

სავალდებულოა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კრებულში.

ხოლო, რაც შეეხება ამავე კანონის 30-ე მუხლის პირველ პუნქტს, სადაც საუბარია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურად გამოქვეყნებაზე „პარლამენტის უწყებანი"-ში, როგორც მოსარჩელე აღნიშნავს „პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით პარლამენტის აპარატის მოვალეობა"-არისო და მიუთითებს საქართველოს რეგლამენტის (ძვ. რედაქცია) 76 (3) და 194 (კ) მუხლებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 76-ე მუხლის მე-3 პუნქტში, ისე როგორც 194-ე მუხლის „კ" ქვეპუნქტში, საუბარია იმაზე, რომ საქართველოს პარლამენტი გამოსცემს ჟურნალს „პარლამენტის უწყებანი" (და არა „საქართველოს პარლამენტის უწყებანი", როგორც მოსარჩელე მიუთითებს), მაგრამ რა ფორმატით, ამაზე არაფერია ნათქვამი. ახალი რეგლამენტით კი, კერძოდ 163-ე მუხლის მე-5 პუნქტით ცალსახად განისაზღვრა, რომ „...საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება განთავსდება პარლამენტის ინტერნეტ-გვერდზე".

აქვე მინდა ავღვნიშნო, რომ კანონმდებლობაში შეიძლება არსებობდეს ხარვეზი, რაც უდაოდ უნდა გამოსწორდეს, მაგრამ ეს თავის მხრივ არ ნიშნავს, რომ კანონი დაირღვა, მითუმეტეს, მიუხედავად იმისა, დარღვეულია თუ არა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა, ხელშეკრულება ძალაშია ყველა მისი ხელშემკერელი მხარისათვის, მათ შორის საქართველოსთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გადაწყვეტილება თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა გამოტანილია სამართლის ნორმების (კანონის) დარღვევით, ამდენად, გთხოვთ გააუქმოთ ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 01.04.2004 წლის გადაწყვეტილება და თანახმად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 396-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნულ საქმეზე მიიღოთ ახალი გადაწყვეტილება.

თან ერთვის რწმუნებულება

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის
წარმომადგენელი ბათარ ჩანქსელიანი

07.05.2004წ.